საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-10/147

ქ. ბათუმი 24 ნოემბერი, 2022 წ.

„ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 20 ოქტომბრის N01-10/115 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, ლევან ტარიელაძის 2022 წლის 21 ნოემბრის N1487125 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 20 ოქტომბრის N01-10/115 ბრძანების მე-3 პუნქტის ,,ბ“, ,,გ“ და ,,დ“ ქვეპუნქტებში შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) წარმოდგენილი განცხადებებისა და დოკუმენტაციის საკონკურსო კომისიის მიერ განხილვა - 2022 წლის 9-24 ნოემბერი;
გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს II კორპუსში (ბათუმი, რუსთაველის ქ. N32) სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან) და ბსუ-ს ვებგვერდზე - არაუგვიანეს 2022 წლის 25 ნოემბერისა;
დ) შეღავათების მინიჭების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემა - არაუგვიანეს 2022 წლის 29 ნოემბერისა."

2. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/23 გადაწყვეტილებისა და წინამდებარე ბრძანების მოთხოვნათა კომპეტენციის ფარგლებში აღსრულება, მათ შორის „ბსუ-ს სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ კონკურსში მონაწილეობის პირობების (წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაციის) ბსუ-ს ვებგვერდზე და პორტალზე განთავსება და სტუდენტთა კონსულტირება.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, (ველში „სწავლა“ და „კონკურსები“) და უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), რექტორის აპარატს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი **მ. დიასამიძე**